ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7313929

ნომერი: AR11066904

თარიღი : 29.11.2024

გაცემის თარიღი : 09.12.2024

გაცნობის თარიღი : 09.12.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მერაბ კოსტავას ქუჩა, N 49;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ქეთევან ფანცულაია პ/ნ 01008010269
- თბილისი ი.ჭავჭავაძის გამზ. N 66 ბ. 5

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 20 სექტემბრის N9662 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 29 ნოემბრის №AR11066904 განცხადებით მომართა ქეთევან ფანცულაიამ და მოითხოვა ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 20 სექტემბრის N9662 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანა, რომელიც ეხება საპროექტო ობიექტის ახალ ფუნქციას.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2007 წლის 20 სექტემბერს ქალაქ თბილისში, კოსტავას ქ. N59-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე შენობის რეკონსტრუქცია გაფართოვება, სასტუმროს აშენების მიზნით დადგინდა N9662

ქალაქთმშენებლობითი პირობები.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 03 ოქტომბრის N2870916 ბრძანებით ცვლილება შევიდა აღნიშნულ პირობებში. კერძოდ დაემატა საკადასტრო გეგმები საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის #882016633979); ასევე მიწის ნაკვეთის საერთო ფართობად მიეთითა - 4544 კვ.მ., საკადასტრო კოდად დაფიქსირდა - #01.15.03.004.073 და #01.15.03.004.074;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 14 თებერვლის N3097363 ბრძანებით ისევ შევიდა ცვლილება აღნიშნულ პირობებში. კერძოდ დაემატა საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (რეგისტრაციის #882016835215); ასევე მიწის ნაკვეთის საერთო ფართობად მიეთითა - 4544 კვ.მ., საკადასტრო კოდად დაფიქსირდა - N01.15.03.004.075.

წინამდებარე განაცხადით მოთხოვნილია ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 20 სექტემბრის N9662 ქალაქთმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანა და სასტუმროს ნაცვლად მრავალფუნქციური კომპლექსის (75% საცხოვრებელი და 25% კომერციული) დაფიქსირება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

სამსახურს, მიზანშეწონილად მიაჩნია, შეიტანოს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 20 სექტემბრის N9662 ქალაქთმშენებლობით პირობებში საპროექტო ობიექტის ფუნქციასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს #140 დადგენილების შესაბამისად

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის N57 დადგენილების და „ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2001 წლის 1 აგვისტოს N8-13 გადაწყვეტილების თანახმად.

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 20 სექტემბრის N9662 ქალაქთმშენებლობით პირობებში, კერძოდ სასტუმროს ნაცვლად დაფიქსირდეს მრავალფუნქციური კომპლექსი (75 % საცხოვრებელი და 25% კომერციული);
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2007 წლის 20 სექტემბრის N9662 ქალაქთმშენებლობით პირობებთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.